№ 608 შაბათი, 15 აგვისტო. 1896—1898 შაბათი, 15 აგვისტო № 608

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიპმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
სითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

**დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი „ცნობის ფურცლისა“ გამოვა სამშაბათს, 18 აგვისტოს.**

ქალ-ვაჟთა სკოლა

## ელენე ლუკას ასულის ბახტაძისა

**დ. ხონში**

პირველ სექტემბრიდამ ამა **1898** წლისა, ნება-რთვით ბ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, გადაკეთებულ იქმნება ოთხ-კლასიან

## საქალებო პროგიმნაზიად

მოსწავლეთა გამოცდა უმცროსს და უფროსს მოსამზადებელ და აგრეთვე პირველ პროგიმნაზიულ კლასებში გაგრძელდება 1-დამ 10 სექტემბრამდე. ეგზამენები იქნება ყოველ-დღე, ნაშუადღევის 2 საათამდის.

თხოვნები უნდა გამოიგზავნოს პროგიმნაზიის უფროსის ელენე ბახტაძის სახელობაზე.

სწავლის საფასური მოსამზადებელში **30**, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში **50** მან. წელიწადში. (15—1)

!!ყველას საგულისხმოდ!!

31 მაისიდან **მცხეთის** სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ბექანოვის საგარაკოში)

სასეირნო ბაღი

## არმაზი

ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი **საჭმელ-სასმელი.**

ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია ფარდულები და ოთახები.

ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,

ცოცხალი თევზები

**ყველაფერი იაფად**

მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.

(40—32) ე. ჩხარტიშვილი

# წიგნის მაღაზია
## მიხეილ გაჩეჩილაძისა

(იგივე „**გლეხის**“ ამხანაგობისა)

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით **დ. ყვირილაში**, ჩუბინიძის სახლში

წიგნებისა და საკანცელარიო ნივთეულობის მაღაზია

მაღაზიაში გვაქვს ყოველგვარი ქართული გამოცემანი და სახელმძღვანელოები. ვკისრულობთ აგრეთვე სხვა-და-სხვა წიგნების გამოწერას. ვიღებთ წიგნებს საკომისიოდ გასაყიდათ და აგრეთვე ვაძლევთ ჩვენც ჩვენს გამოცემებს.

მაღაზიასთან გახსნილი გვაქვს **წიგნების საკაზმავი სახელოსნო,** სადაც მზადდება წიგნები სუფთად, იაფად და სწრაფად.

სოფლის მასწავლებლებს სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და სხ. დაეთმობათ ძლიერ დაკლებულ ფასად.

მსურველს შეუძლიანხ მთვმართოს შემდეგის ადრესით:

Квирилы. Книжный магазинъ М. Гачечиладзе. (15—1

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხ. გამავ. საზ. წიგნის მაღაზიაში

## ქართული საერო და სასულიერო კილოები

**შედარების ნიმუშებით**

მღვდ. პ. ქარბელაშვილისა

ფასი **20** კაპ. (10—1)

„**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ სენაკის სათავად-აზნაურო სკოლაში

თავისუფალია ადგილი ორი მასწავლებლისა,

და მასწავლებლობის მსურველთ უნდა მიჰმართონ თხოვნით საზოგადოების გამგეობას. (3—1)

## ექიმი

კ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ **К. М. Чиковани**

Михайлов., № 16.

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ბერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კობანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

(*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

—

*** დამორჩილება ანუ გაცლა. ჩვენი მკითხველები დღევანდელს ნომერში წაიკითხავენ „წერა-კითხ. გამავ. საზოგ.“ გამგეობის განცხადებას, შესახებ ორი თავისუფალი ადგილისა სენაკის სათავად-აზნაურო სკოლაში მასწავლებელთა თანამდებობაზე.

რასაც დღეს აცხადებს საზოგადოების გამგეობა, ის უთუოდ ამ ერთი წლის წინად უნდა მომხდარიყო... მაგრამ ჩვეულებრივმა ქართველურმა თავაზიანობამ რაც არ გააფუჭა საქმე, არა გააკეთა-რა.

ვინ არ იცის, რომ აგერ ეს წელიწადზე მეტია, რაც სენაკის სკოლაში ისე აირია და აიწეწა საქმენი, რომ მამა შვილს არა სცნობს და ძაღლი პატრონს...

ჩვენ არ გამოვუდგებით იმ წრეს გადასულ ჭორებს და მითქმა-მოთქმას, რომლითაც ყური გამოუჭედეს ყველგან ყველასა, ჩვენ არ შევეხებით იმის გამოკვლევას, თუ ვინ არის პირველი დამნაშავე, ვინ დაიწყო პირველად ქექვა და ორმოს თხრა; ეგ ყველაფერი, ეჭვი არ არის, დღეს თუ ხვალ გამოაშკარავდება და დამტკიცდება კიდეც უტყუარის საბუთებით...

დღეს ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ ის საოცარი საქციელი, ის თავხედური სიჯიუტე, რომელიც გამოიჩინეს ზოგიერთ ვაჟბატონებმა, მითამ კეთილშობილურის გრძნობით აღჭურვილებმა, მითამდა ჭეშმარიტი გზის მიმდევრებმა...

გამგეობამ ავად თუ კარგად სენაკის სკოლის არეულ-დარეულ საქმეზე თავისი მსჯავრი გამოსთქვა, მაგრამ აბა რაღა ქართველები ვართ, თუ ჩვენს ჭირვეულობას არ ვანაცვლებთ არა თუ სხვის პიროვნებას, არამედ საზოგადო საქმესაც.

არა გვგონია, ისეთი აღვირ-წახსნილობა, ისეთი თავ-დაუჭერლო-

ბა და თვით-ნებობა არა თუ სადმე განათლებულ საზოგადოებაში, არამედ პაპუასებშიაც იყოს, როგორც ჩვენში მოხდა...

ყოველს წრესა და საზოგადოებაში თუ დისციპლინა არ არის, თუ გაგონება-შესმენა და წეს-რიგი არ სუფევს, შეუძლებელია რაიმე საფუძვლიანი გაკეთდეს, საქმე როდისმე დაწინაურდეს. დისციპლინა და წეს-რიგიანობა თავმდებია წინმსვლელობისა და გამარჯვებისა. უამისოდ ადამიანი ნადირს და პირუტყვს დაემსგავსებოდა...

და სწორედ ამ წეს-რიგიანობისა და დისციპლინისათვის „წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების“ გამგეობამ დაუყონებლივ, 24 საათის განმავლობაში უნდა გასწმინდოს და გამოანიავოს სენაკის სკოლის დახუთული ჰაერი, თუნდა მაგისათვის საჭირო იყო ზოგიერთი მოსამსახურეთა განდევნა.

ეგ ვაჟბატონები ან უნდა დამორჩილდნენ გამგეობას, ან გაეცალნენ სკოლას.

*** **ეპისკოპოსის ლეონიდის წირვა ანჩისხატში.** დღეს ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ლეონიდი სწირავს ანჩისხატის ეკკლესიაში.

*** **გენერალ ფრეზეს ჩამოსვლა.** მთავარ-მართებლის თანაშემწე გ.-ლ. ა. ა. ფრეზე 16 აგვისტოს ჩამოვა ტფილისში, აქედან წავა კოჯორში, სადაც დარჩება 1 სექტემბრამდე.

*** **ორიენტალისტთა კონგრესი ჟენევაში.** წელს, ივლისის თვეში, ვენეციაში ყოფილა ერთი ქართველი ქართული ხელთ-ნაწერი წიგნების საძებნელად ერთს ბიბლიოთეკაში, სადაც უნდა ყოფილიყო ბევრი რამ ძველი წიგნები; იქ ვერაფერი აღმოუჩენია, გარდა ერთის ძველის ხუცურის სახარებისა და ერთიც დავითნისა.

მაგრამ მერმის ამავე ქალაქში დანიშნულია ორიენტალისტთა კონგრესი და იმედია, რომ აქ ორიოდ სწავლული ქართველი მაინც დაესწრობა, რადგანაც ამ კონგრესზე ბევრი რამ კითხვები გაირჩევა კავკასიის და კერძოთ ქართველთა მონათესავობის გამოკვლევაზედაც.

*** **ძველი აფიშები და პროგრამები.** ჩვენს ნიჭიერს მსახიობს ვ. აბაშიძეს შეუკრებია და დიდრონ რვეულებად შეუკაზმავს ქართული წარმოდგენის აფიშები 1877 წლიდან, როცა დაიწყეს პირველად ქართული წარმოდგენები. რა თქმა უნდა ხსენებული აფიშები და პროგრამები ძვირფასი რამ არის ჩვენი თეატრისა და სცენის ისტორიისათვის.

*** **საქველ-მოქმედო წარმოდგენა.** დღეს საზაფხულო თეატრში, ბ. არტისტ ლენსკის მეთაურობით გამართულ იქნება რუსული წარმოდგენა, რომლის შემოსავლის ერთი ნაწილი გადაეცემა ერთ ღარიბ ოჯახს.

*** **უცაბედად გადარჩენილი.** გუშინ წინ, საღამოს საათის $9^1/_2$, ბალების ქუჩაზე 12 წლის ყმაწვილი გარბოდა და უცბად გაქანებული ეტლის (№ 364) ქვეშ ჩავარდა მეეტლემ მაშინვე შეაყენა. ყმაწვილს არაფერი არ შეემთხვა მხოლოდ ცოტათი შეშინდა,

*** **ბაღოსნობის სკოლის შესახებ.** სკოლის გათავების ეგზამენები დანიშნულია 24 და 25 აგვისტოსათვის. მისაღები ეგზამენები ამ სკოლაში ჯერ არ დაუნიშნავთ.

*** **წერა-კითხვის გავრცელება.** უწმინდესი სინოდის რჩევაში 7 აგვისტოს, ობერ-პროკურორის პობედონოსცევის თანადასწრებით, შემიაკინმა, რუსეთის სამრევლო სკოლების ზედამხედველმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება წერა-კითხვის საყოველთაოდ გავრცელებაზე. ბ. შემიაკინის აზრით სახელმწიფო რომ გაამოიღებდეს ყოველ წლივ ამ სკოლებისათვის 2 მილიონ მანეთს და მიუმატებდეს იმ თანხებს, რაიც ეხლა ხმარდება სამრევლო და საერო სკოლებს, 9 მილიონ ბავშვს ეცოდინება წერა-კითხვა და ამ ნაირათ მთელ რუსეთში არავინ დარჩება, რომ წერა-კითხვა არ იცოდეს.

*** **ეგზარხოსი ფლაბიანეს მოგზაურობა.** 5 დამდეგ სექტემბერს, საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე ტფილისიდამ გაემგზავრება ტფილისის, თელავის და სიღნაღის მაზრების ეკკლესიების დასათვალიერებლად. ამ მოგზაურობაში პირველად ნახავს იოანე ნათლის მცემლის უდაბნოს. 6 სექტემბერს ეგზარხოსი წაბრძანდება დავით გარეჯის უდაბნოში. 7-ში წაბრძანდება სიღნაღს. 8-ს ინახულებს ბოდბის წმ. ნინოს მონასტერს. აქედან ნუკრიანის, ბოდბის და მაღაროს სოფლების ეკკლესიებს დაათვალიერებს. 9-ს ხირსში წაბრძანდება და გზა და გზა ყველა ეკკლესიას ინახულებს. ამის შემდეგ გაივლის ფშაანზე, პრასიანზე, მირზაანზე, არბოშკაში, ზემო და ქვემო მაჩხაანში. 10 სექტემბერს ეწვევა ჯუგაანს, ანანურს, საქობოს, მაშნაარს, ვაქირს, ანაგას, კარდანახს, ბაკურციხეს, ვეჯინს და გურჯაანს. 11 სექტემბერს ეგზარხოსი ინახულებს ეკკლესიებს ჩუმლაყში, ახაშენში, ველისციხეში, შაშიანში და ვაჩნაძიანში. 12 წაბრძანდება თელავის მხარეში, აწყურში, წინანდალში, კისის-ხევში და კონდოლში, იმავე დღეს წაბრძანდება თელავში და ინახულებს ყველა ეკკლესიებს და სასწავლებლებს. 13-ში სწირავს თელავის სობოროში, ამის შემდეგ გაივლის კურდღელაურში, ახაშენში, ოჟიოსა და ალავერდის სობოროში. 14-ს სს. ქისტაურს, ზემო ხოდაშენს და აწყურს ეწვევა. 15-ს ინახულებს აწყურის ორ კლასიან სკოლას და იქიდამ გამოივლის იყალთოზე, რუისპირზე, არტაზანზე, ვარდისუბანზე და შემდეგ შუა მთის მონასტერში მობრძანდება. ოთხშაბათს, 16 სექტემბერს გამოივლის ჩუქურმის ეკკლესიაზე და ნაშუადღევის 4 საათზე ტფილისში დაბრუნდება.

*** **ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა.** მიმდინარე წლის ენკენისთვეს სკოლაში არის თავისუფალი 45 ვაკანსია I მოსამზადებელ განყოფილებაში და პროგიმნაზიულ კლასებში არც ერთი თავისუფალი ალაგი არ არის. შესაძლებელია სექტემბერში მოსწავლეების ხელმეორედ გამოცდის შემდეგ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია, მაშინ დაინიშნება საკონკურსო ეგზამენი და მიღებულ იქნებიან ისინი ვინც საუკეთესოდ დაიჭერენ ეგზამენს.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 30-მდის თხოვნასთან ერთად საჭიროა შემდეგი საბუთის ქაღალდები: 1. ნათლობის მოწმობა. 2. ყვავილის აცრის მოწმობა და 3. მოწმობა ქუთ. სათავად-აზნაურო ბანკიდან, რომ მოწაფის მშობელი ირიცხება ხსენებული ბანკის დამფუძნებელთა შორის.

ხელ-მეორედ ეგზამენი მოხდება 1, 2, 3 და 4 სექტემბერს და მისაღები საკონკურსო ეგზამენი 5 და 7 სექტემბერს. 10 სექტემბრიდამ სკოლა გადადის ივ. პ. ჯაიანის სახლში ლევაშოვის ქუჩაზედ, სწავლა დაიწყება 16 სექტემბერს.

*** **ბისმარკის აკლდამა** მზად იქნება ნოემბერში და მაშინ მოხდება გასვენება თავადისა დიდის ცერემონიით.

*** **მეაგურეთა გაიძვერობა.** ჩვენ გვატყობინებენ დაჭეშმარიტებით მცოდნე პირნი, რომ ტფილისში მეაგურეები ხშირად დიდს ბოროტებას სჩადიანო. ხშირად ესენისეთის მიწის აგურს სწვავენ, რომელსაც წვიმა მოჰხვდება თუ არა მაშინვე დაიშლებაო. ასეთის ოსტატურის მანქანებით ამათ ბევრი საწყალი სახლის მშენებელი დაუღუპავთ და ბევრსაც დაღუპავენ. თუ მათ დროით არ დაუწყეს ალაგმვა.

სწორედ ასეთი ოსტატური ოინი უყვეს ბ. აბრამ ცხიმანაურს— 300 მან. აგური მიუზიდეს სახლში და ეს აგური მცირე დროის განმავლობაში მთლად დაიშალა და მიწათ იქცა. დღეს ამაზე საჩივარია ატეხილი. ამბობენ, რომ ეს გაიძვერა თათრები ბევრს ატყუილებენ, უფრო-კი საწყალ ხალხსო.

*** **ახალი წიგნები.** ჩვენ მივიღეთ შემდეგი ახალი წიგნები:

**ამოდის ნათლება** და სხვა მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი, გამოცემა ქარ. შორის წ.-კ. გ. საზოგადოებისა (№ 32) წიგნაკი სუფთად არის გამოცემული, შეიცავს 79 გვერდს შუათანა ზომისას და შედარებით ძრიელ იაფია, ღირს სამი შაური.

**დიდ ოთხშაბათი**, პოემა იასონ ციციშვილისა. წიგნაკი შეიცავს ერთ ბეჭდურ თაბახს, სუფთად არის დაბეჭდილი და ღირს ორი შაური. ლექსი ძრიელ ადვილად იკითხება და პოემა ფრიად საინტერესოა. ამ წიგნის შემოსავალი გადადებულია ავტორის მიერ ქ. შორის წ.-კ. გამ. საზ. სასარგებლოდ.

**ცხოვრება ქალწულ მოწამეთა** პისტისა, ელპიდისა აღათისა და დედისა მათისა სოფიოსი. შეიცავს 16 გვერდს, ღირს ერთი შაური, გამოცემულია უდაბურ წყალ-წმინდის ძმობისა (№ 10).

*** **ს. კეხვი** (ქართლი). **მედუქნეები და უწეს-რიგობა.** ს. კეხვი მდებარეობს მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირას, იმ ადგილს, სადაც მთელმა სამაჩაბლოს ოსეთის ბილიკებმა და გზებმა თავი უნდა მოიყაროს ერთად და ამ ვიწრო კეხვის ყელში გამოიაროს რაჭაში მიმავალმა, კავკავში და თვით ოსეთში, ამ გზას არ ასცილდება. ამის გამო მუდამ შეუწყვეტელია მგზავრი; ამ მგზავრთა მიმოსვლამ აიძულა კეხველები და გაამართვინა დუქნები და სარდაფები, რომლებიც ყაჩაღებისა და ქურდ-ბაცაცების ბუდეთ არიან გადაქცეულნი, თითონ მედუქნეებისაც რომ ვსთქვა, ერთიც არ არის მათში შეუნიშნავი. შარშან ყაჩაღები რომ დახოცეს მინდიაშვილებმა, ერთ მათგანზე აღმოჩნდა აქაური მედუქნის ქუდი და ნაბადი, რომელიც ძმური სიყვარულის გულისათვის დაეხურა ყაჩაღისათვის, ნიშნათ იმისა, რომ ყოველ შემთხვევაში გაგიტანოო. აქაური დუქნების გამართულება რომ ნახოთ გაჰკვირდებით, მთელი როტა ჯარი რომ შემოახვიოთ ყაჩაღს და მოამწყვდიოთ, ისე გაგეპარებათ თვალსა და ხელში, რომ გაფიქრებინებთ, ცამ ჩაყლაპა თუ ღედა მიწამაო. თუ როგორმე მოხდა და ვერ მოასწრო გასვლა, მინამ ტყვია წამალი ექნება,

ერთს არ დააცილებს, სულ დასცლის.

აი ერთი მათგანის აღწერა: დუქნის წინ, ე. ი. გზისკენ, სადაც საწვრიმალო და სასმელია გათხუპნულ და გასვრილ თახჩებზე, იქვე გამართულია ტახტიც ხალხის ჩამოსასხდომათ და პურის საჭმელად. გასასვლელი კარები მიდგმულია ბოსელში დასავლეთის მხარეს, ბოსელს აქვს სანათური გასახედათ კეხვის ტყისაკენ, სადაც დურბინდის მაგიერათ გატეხილი კოკის ყელია გამართული; ჩრდილოეთის მხარეს კარები გადის ვიწრო დერეფანში, რომელსაც უკან მისაკუნჭი ალაგი აქვს და ყავარ ქვეშ შესახტუნი, მერე ერთი კარები გაგიყვანთ პატარა ბაღჩაში, აქედან საცა გნებავთ წახვალთ, თუნდ გაფოთლილ ვენახისაკენ და ან აითაც მოგეხერხებათ. ამ ბაღჩაშივე გამოდის ორი დუქნის ვიწრო გამოსავლელიც, ეს გეგმა აღებულია მახლობელ კეხვის ციხიდგან, რომელიც ვახტანგ გორგასლანის აშენებულია და ოსებისაგან თავისხმას იცავდა.

შარშანვე, რაკი ყაჩაღების შენაბვაში ეჭვი აიღეს, მედუქნეებთ პატენტები ჩამოართვეს, მაგრამ უპატენტოდაც მშვენივრმდ ვაჭრობენ სუყველანი, ე. ი. ხუთი დუქანი. აქვე სხედან ნალბანდები. აქვე არიან მაწანწალა უსაქმო ოსები, აქვეა „პროკლოი“ ნიკა ზანგალაძე, (რაკი სკოლაში იყო, ამის მეტი ვერაფერი დაისწავლა და ეს სახელი დაარქვეს) აქვე ბრძანდება ს. კეხვის „პოპოშნიკი“ თავის მენდლით, რომლის ყვირილი და ჩხუბი, ზოგჯერ მართლა და ზოგჯერ ხუმრობით მგზავრებთან და მეზობლებთან, შორს გაისმის, აქვე არიან თავ-მოყრილი თხუთმეტ-ოციოდე კაცი მეტივეები თავიანთ უწმაწური ლანძღვა გინებით, აქვე ტყის მწარმოებელი ოსები, ტყის ყარაულები და სხვა და სხვა. არის ერთი ხმაურობა და აურ-ზაური, დუღს სიცოცხლე და გადმოდის.

მშვიდობიანობის დროს, როცა ეს ხალხი მოსცილდება, ასტყდება ყვირილი და გინება მედუქნეებისა ბანქოს თამაშისაგან და „პროკლოი“ და „პოპოშნიკი“ დოინჯებით თავს ადგანან და აქეზებენ მოთამაშეებს, რაკი თამაშს გაათავებენ, ერთი მათგანი წააგებს რამდენიმე ხელადა ღვინოს, „პროკლოი“ ნიკა ზანგალაძე და „პოპოშნიკი“ სანდრო ზანგალაძე დაიძახებს: „ღვინო თქვენი და ახალი თევზი ჩვენიო; ჰქმა ამისი და ამ მოთამაშე ხალხის წამოშლა ერთია, ზანგალაძეები ფარდაგებსა და ძაზრებს მიარბენინებს „ყაიბულას“ სათავისაკენ, ნალბანდები უღლისა და ბარსა, მეტივე ცულსა და ბადეს, დანარჩენიები ზოგი ქვაბსა. ზოგი გოდორსა, ზოგიც კეტებსა და სხვ. მირბიან სიხარულით სათავისაკენ. ნალბანდები ჩაღობავენ უღლით და ქვით რუსა, ზანგალაძეები ჩაუგებენ ფარდაგებსა და ძაზრებს, სხვები დაუგებენ გოდრებს, დასწვრეტენ წყალსა და ხალისიანად დაიწყებენ თევზაობასა. „პოპოშნიკი“ ჯერ სტკბება ნადირობით, მერე კი დოინჯით დასტრიალებს მონადირეებს და ნანადირევ თევზს იგროვებენ პარკში.

იმ ღამეს ორი კაცი მოუდგება დაწყვეტილ წყალს და გათენებამდის იჭერს თევზს, მიანგრევენ, მოანგრევენ გამაგრებულს სათავეებს, ორასი კაცის ნაამაგევს დადილით გამოუშვებენ წყალს; მანამდის უცდიან დაღონებული მოსაფქვავეები წყალს, იქ მუშა ხალხი ბარებით ხელში იცდიან, აცა წყალი მოვიდეს, თორემ სიმინდები და ვენახები გახმა და სხვა ასეთ გაჭირვებაში ჰყავთ ხალხი კეხველ მედუქნეებს და არავინ არ მიაქცია ყურადღება, არც მირაბმა და არც რაჯაბმა, რომ რაიმე საშუალებით ალაგმოს თავ-გასული „პროკლოი“ და „პოპოშნიკი“.

კერძო პირი რომ მივიდეს და უთხრას რამე, გინებითა და ლანძღვით გამოისტუმრებენ და მიაძახებენ: ჩვენ დავსწრიტეთ წყალი და წადი და იჩივლეო! სად არის ჩვენში პოლიცია და ოქმი. რამე საქმეს რომ მოიწერებიან ან გუბერნატორი ან მაზრის უფროსი ბოქაულთან, იგი მისწერს ბრძანებას მამასახლისს, მამასახლისი უბრძანებს ნაცვალს, ნაცვალი გზირს და ამასობაში იფარცხება საქმე და არა კეთდება რა.

— სეტყვა. აგვისტოს სამს მოვიდა ძალიან დიდი სეტყვა და ნიაღვარი, წონას, ერწოსა, ღვერცევსა და ბარს, რომელმაც წატლიკა ჯერ შემოუსვლელი ქერი და დიკა. აგრეთვე წაიღო გათიბული თივები.

— მოსავალი. მოსავალს ცხინვალის ხეობაში ვერ ემადრიელებიან, ყანები თხელი იყო და ბზეც არა დადგა რა, უფრო ამ უკანასკნელს ემდურებიან.

— ავადმყოფობა. მთელი ეს მხარე, ე. ი. სამაჩაბლო ავადმყოფობით მოცულია, ყურის მგდებელი კი არავინ არ არის.

— ყულაბის მოპარვა. ამას წინათ ცხინვალში ბოქაულთან გამოაცხადა კნ. ეფემია მაჩაბლისამ, რომ სახლიდგან ფულებიანი ყულაბი მომპარეს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“, რომელიც ამ დღეებში უნდა გადამეცა საზოგადოებისათვისაო. საჭიროა ყურადღება მიაქციონ სხვათაც, თორემ შეიძლება სხვაგანაც განმეორდეს ეს ამბავი.

— შიშიანობა ყაჩაღებისაგან. რადგანაც ყაჩაღებზე ხმა ისმის, ყველა სოფლებში ყარაულებია დაყენებული ღამე, კეტებით და შუბებით კარგად შეიარაღებულები.

სამაჩაბლოელი

*** **ქ. ოზურგეთი.** კერძო ლატარიები. ერთი ხანია აქ გახშირდა ლატარიას თამაში. ერთმა მანდილოსანმა ლატარიაში ჩააგდო ორ მანათიანი დამტვრეული საათი, რომელზედაც ათჯერ მეტი აიღო. ამის მიხედულობით სხვებსაც აღეძრა მადა და თუ ვინმეს აქვს ბეჭედი, ან სხვა რამ ნივთი, ყველანი აგდებენ ლატარიაში და ქუჩაქუჩა ხვდებიან და იქ აწერინებენ ხელს, რითაც აწუხებენ ყველას.

— ბიბლიოთეკის შენობის გამო. კარგა ხანია აქ დაგვიარსდა ბიბლიოთეკა, მაგრამ, საუბედუროთ, ისეთს უხერხულს ადგილზეა ჯერჯერობით მოთავსებული, რომ მდაბიო ხალხი ვერ სარგებლობს მით. იმედია დააჩქარებენ და ადრე გვალირსებენ საკუთარს შენობას, რომელიც კარგა ხანია დაიწყეს და ბოკონებიც ჩაჰყარეს, მაგრამ საქმე ჯერ კიდევ დამშია. ამ დღეებში მოელიან ქალაქის მოურავს და იმისი იმედი გვაქვს, რომ საქმეს დააჩქარებს და დააწინაურებს.

ლეხოურელი

*** **დიდინეძი.** (სამეგრელო) საიმედო მამასახლისი. ამ საზოგადოებას ოთხი წელიწადია რაც ეს სახელი ეწოდა, მაგრამ როგორც ჯერ ახალგაზდისთვის საკმაოა რაც ამ მოკლე დრომდე წაინაბიჯა. იმედია მომავალში უკეთ წაიდგამს წინ ნაბიჯს და მალე კარგის თაოსნობით ზუგდიდის მაზრის საუკეთესო საზოგადოებათ გახდება..

რადგან დიდინეძი შეადგენდა ხეთის საზოგადოებას და ხეთაში დაარსდა როგორათაც ორკლასიანი ვაჟებისა და ეგრეთვე ერთ კლასიანი ქალების სკოლები ცოტა არ ერგო აქაურ ღარიბ გლეხ-კაცობას გარდასახადი, რაკი სიშორის გამო რლეს დადიანებად წოდებული მხარე იმ სკოლებით ვერ სარგებლობდა.

ერთმა საზოგადოებისათვის კეთილის მსურველ პირმა ი. ჯგერენაიამ, ხეთა დიდინეძის გაყოფის შემდეგ, განუმარტა და შეასმინა საზოგადოებას სკოლის კეთილი ნაყოფი და აღუძრა სურვილი საზოგადოებას საშუალო ადგილზედ დაარსებულიყო სკოლა და თუ რომ ხეთის ორკლასიან სკოლისა არა, ქალების სკოლის გარდასახადისაგან მაინც განთავისუფლებულიყო დიდინეძი.

მართლაც თვისი დაუღალავი შრომით და მთავრობის შემწეობით ხსენებული წინადადება განახორციელა და საზოგადოებამ გააშენა მშვენიერი ხის შენობა სკოლისათვის საშუალო ადგილზედ, რითაც ი. ჯგერენაიამ კი თვისი კეთილი შრომით დაიმსახურა თვის საზოგადოების და მთავრობის წინაშე ნდობა იმედი. არა რაიმე საქმეს დაუკითხავად და მის უნებურად საზოგადოება არ კიდებდა დღემდინაც ხელს; ყოველი საქმე მიენდვებოდა მას და კიდეც არ ყოფილა მაგალითი მხურვალის გულით არ შედგომოდეს საქმის აღსრულებას და გაეცუდებიოს საზოგადოების იმედი.

მოაწია ახალ მამასახლისის ამორჩევის დრომ და სოფელში ნელნელა აღიძრა ლაპარაკი: „მართალია ი. ჯ—ია მარტო ხელი ბ მასთან მოხელე კაცია და მისი ოჯახსა და ხელობაზედ მოცდენა ცოდვაა, მაგრამ მაგისთანა ჩვენ ჭირსა და ლხინს რო ნახავს ისეთი გაგებული კაცი ჩვენში ძვირია და როგორმე უნდა დავითანხმოთ და გადავკიდოთ ჩვენი მამასახლისის ჯაჭვიო“ 7 აგვისტოს ბ. ბოქაულმა მოსთხოვა სამამასახლისო კაცი, მაშინვე საზოგადოებამ ი. ქ.-ზედ უთითა და ერთხმად იგი მოიწადინა. ჯგერენაიამ ბევრი იუარა, როგორც ბ. ბოქაულს აგრეთვე საზოგადოების წინაშე, მაგრამ საზოგადოება არ მოეშვა და დაითანხმა ეს მათი კეთილ-საიმედო კაცი.

სრული იმედი გვაქვს ვით დღემდე, საზოგადოებას არ მოაკლებს თავისს მხურვალე გულით კეთილ მოქმედებას მომავალშიაც და დაიმსახურებს საზოგადოების სიყვარულს და განახორციელებს მათ კეთილ იმედს.

კოლონა

## რედაქციისაგან

**ქუთაისში.** ამხანაგს. წერილი მეაფთიაქეს თავვასულობაზე ვერ იბეჭდება.

**კურდღელაურში** პუკიასშვილს. მამასახლისი რომელიც სხვებს უკრძალავს უწესოებას და ლოთობას, ხოლო თვითონ ყოველ დღე გალექილია, რა უნდა იყოს კარგი მაგალითი თავის სამამასახლისოსათვის,

**ნიგოითში.** გამგონეს. დიახაც სასწუხაროა, რომ მღვდელიც კი აჰყოლია ცრუმორწმუნოებას და დაკარგული 5 მან. მარჩიელთან გარბის. არ თქმა უნდა ასეთს მოძღვარს ვერაფერი გავლენა ექნება მრევლზე.

**ტფილისში.** ზ—ოს. ახლად გარდაცვალებული ლომაძე სომეხი იყო თუ ქართველი არავისთვის არის დასახარბებელი.

## თეატრის მატიანე

**ს. ხაშმი** (გარე-კახეთი). ქართული წარმოდგენა. კვირას, 9 აგ-

ვისტოს ადგილობრივმა სცენის-მოყვარეებმა საქველ-მოქმედო მიზნით წარმოადგინეს „ციმბირელი“ ცაგარლისა და „ადამ და ევა“ დ. მესხისა. წარმოდგენა მშვენივრად იყო მომზადებული, მხოლოდ ზოგიერთნი როლის უცოდინარობისა გამო კოჭლობდნენ. კომედიისთვის რომ ვოდევილი არ მოედგათ, სჯობდა, უამისოდაც გაგრძელდა წარმოდგენა. განსაკუთრებით სოფლად უნდა სცდილობდნენ სცენის მოყვარეები, რომ რაც შეიძლება წარმოდგენა ადრე გათავდეს, არა უგვიანეს 11 საათისა მაინც. წარმოდგენას ადგილობრივი გლეხები ნაკლებად დაესწრო. ზოგნი გარეშე სოფლებიდანაც დაესწრენ, მაგრამ ძლიერ ცოტანი. მიზეზი ის იყო, რომ დროით ვერ შეატყობინეს ახლო-მახლო სოფლებს, საიდამაც ყოველთვის მრავლად ესწრებიან ხოლმე.

ხაშმელი სცენის-მოყვარეთა სანაქებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ძალიანი წინ-მსვლელობა დაეტყოთ როგორც ვაჟებს, აგრეთვე ქალებს.

წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო, ვინც დაესწრო დიდათ კმაყოფილი დარჩა წარმოდგენისა. სრული შემოსავალი გადიდო ბიბლიოთეკის სასარგებლოდ.

თვალ-ყურა

—

**დ. ხაშური.** ქართული წარმოდგენა. კვირას, 9 აგვისტოს, ბ.ბ. გალუსტოვმა და ივ. მჭედლიშვილმა აქ წარმოდგენა გამართეს ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით. დადგმული იყო „ქოროღლი“, ხუთ მოქმედებიანი ტრაგედია ზ. ანტონოვისა.

წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა და ხალხიც ბლომად დაესწრო და ძალიან ნასიამოვნები დარჩა. წარმოდგენის გამშვენებას ხელს უწყობდა საგანგებოდ შეკერილი ოსმალური ტანისამოსი. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ქ.ქ. გალუსტოვისა, რჩეულოვისა, ბ.ბ. გალუსტოვი, მჭედლიშვილი, გელიკურაშვილი, ხრეითელი, მებურიშვილი, სარალიძე და სხვ. ხელოვნურად შეასრულეს თავიანთი როლები ბ.ბ. გალუსტოვმა (ჯაფარ ფაშა და მოლა) და მჭედლიშვილმა (ქოროღლი). აგრეთვე გვარიანად ითამაშეს ბბ. გელიკურაშვილმა (დემურჩოღლი) და ხრეითელმა (სულეიმანი).

ქალებმაც სწორედ ნიჭიერად ითამაშეს. გულნარას როლს ასრულებდა ქ. გალუსტოვისა და ქიჩქინესას—ქ. რჩეულოვისა.

დანარჩენებსაც არა უშავდათ-რა, მხოლოდ, როგორც ბევრჯერ შეგვინიშნავს ხოლმე, ახლაც მოთამაშეებს ხელს უშლიდა სცენის სივიწროვე და მოუწყობლობა.

არ შეგვიძლიანარ ვუსაყვედუროთ იმათ, რომელთა ხელშიაც არის ამ თეატრის ბედი; დალოცვილები თუ კი ამ თეატრის წყალობის მოლოდინით ფართოსა და მაგარ ჯიბეებს იკერებენ ფულის ჩასაჩხრიალებლად, აქამდე რითი ვერ გააფართოვეს და ვერ მოაწყვეს ერთი რიგიანი სცენა?!

მომავალ კვირას, 16 აგვისტოს, აქვე ბ-ნ გალუსტოვის საბენეფისოდ დადგმული იქნება „ხანუმა“ ა. ცაგარლისა.

სან-ნარი

## ყურმოკრული საუბარი

—

ალის სურვილი. ბიჭო წადი ის ჩემი მტერ-მოყვარეც დაჭპატიჟე, ისე,—ცალი უბით...

ბიჭი მირბის, მოიღრიჯა უბა და დაღრეჯით უთხრა: „ადამ სადილათ მობრძანდით“...

— ბიჭო, რაღას იღრეცამ უბებს?!

— აღამ მიბრძანა ცალი უბით დაჭპატიჟეო!..

—

მომაკვდავი მოხუცი. ოთხმოცდაათი წლის მოხუცი რომ კვდებოდა შინაურებმა უთხრეს: „გვითხარ რამეო!

— ნეტა იმას, ვინც ეხლა იბადებაო! წაიდუდღუნა მოხუცმა.

—

გულ-კეთილი ნათლია. რათ გარჯილხარ ბესო?! დაეკითხა ნათლია ოსი ქართველსა, რომელიც მოულოდნელად კარს მიადგა,

— ხარი მოსპარეს და წამოველ შენთან, იქნება მაპოვნინო... ოსმა სახლში შეიწვია, გაახვია ტომარაში ნათლი-მამის ხარის თავი, დაუდო და კერასთან დასვა ზედა, ცეცხლზე ხარის გული იწვოდა და ფილტვი ქვაბში იხარშებოდა. ნათლი-მამამ კვლავ შესჩივლა.

— შენი ცოდვით, ნათლიმამ, გული მეწვის ცეცხლზედა და ფილტვი მეხარშება, აი ამოსწყდეს და ამოითქოს ვინც შენი ხარის თავზე ზის ეხლაო! ცბიერად ანუგეშა ოსმა...

—

მეგობრების შექცევა კალოზე: ჭეი, ბიჭო! შენ რომ ქარი იყო და ამოვარდებოდე?...

— ჭეეი... მე რო ქარი ვიყო დაგანიავებდი!..

—

— ბიჭო, ჩვენ ვენახში ნაკლებ ასხია მწვანეს და შავი კი ღმერთმა ნუ დაგილიოს, ასხია!

—

გახსოვს, მე და შენ რომ ვბანაობდით, მე დამძირა და შენ ამოვარდი!...

—

— ბიჭო, წადი მოურავს დიდი ხელადით ღვინო ამოუღე და მოართვი.

— ბიჭო, გაიგონე? დიდი ხელადითაო!—დასძახის მოურავი.

—

— ბიჭო, დაცალე ე საღვინე?

— ნეტა კიდევ გამოსულიყო!

—

— მამასახლისო, თქვენ თუ ღვინით არ დაითვერით ხომ არ იქნება?

— ჩვენ კანონში გვიწერია დათრობა და მოსაგონებლად მენდლის ძეწკვზე ყურძნის მტევნები დაგვიხატესო! დიტდიტებს მამასახლისი.

სამაჩაბლოელი


## განცხადებანი

იყიდება

„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში

იაფ-ფასიანი

სახალხო გამოცემანი:

| | |
|---|---|
| თავ. ილია ჭავჭავაძე | 2 კ. |
| ალექსანდრე ეპისკოპოსი | 3 „ |
| სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე | 2 „ |
| პატარა ბიბლიოთეკა | 2 „ |

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.

მსურველნი მიჰმართავენ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას. (30—4)

საზღვევი საზოგადოება

„იაკორი“

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო

დებულობს

დაზღვევას ცეხლისაგან

ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.

დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა

შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან

დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან

მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისას

დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა

ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა

თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შეხატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

**Страховое Общество „ЯКОРЬ“**

**Высочайше** утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ

**Принимаетъ:** 1) Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ, 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.

**Контора Тифлисскаго Главнаго Агента Александра Григорьевича Сергѣева**

на углу Эриванской пл д. кн. Цицiанова № 2. (50—38)

ურბენი L'urbain

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში**, მიხეილის ქ. № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი

ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი.

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. **„УРБЭНЪ“**

Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543.

(50—26)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Августа 1898г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. გუნიასი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარხ. რედაქტორ-გამომცემელი **ვ. გუნია**